

IV კურსელების საგამოცდო საკითხები მეანგინეკოლოგიაში:

1. უსაფრთხო ორსულობისა და მშობიარობის მართვის ძირითადი პრინციპები
2. ქალის სასქესო ორგანოების, მენჯისა და ნაყოფის ანატომია. ნაყოფი როგორც მშობიარობის ობიექტი.
3. ანტენატალური სამსახური-ორსულობის დიაგნოსტიკა და მართვა.
(ორსულობის ნიშნები, პაციენტთან ქცევის წესები, ანამნეზი, ლეგალური და ეთიკური ასპექტები დიაგნოსტიკური ტესტები.
4. ორსულობისას პათოლოგიური მდგომარეობების დაიგნოსტიკა. (ნაყოფის მდგომარეობის შეფასება, გრავიდოგრამა, ულტრაბგერა.)
5. დედისა და ნაყოფის რეზუს კონფლიქტი-კლინიკა, კორექცია, მართვა.
6. ორსულობით გამოწვეული პათოლოგიური მდგომარეობები ორსულობის 22კვირის შემდეგ. (ორსულთა ჰიპერტენზიული დარღვევები: ქრ.ჰიპერტენზია, ორსულობით ინდუცირებული ჰიპერტენზია, პრეეკლამფსია-ეკლამფსია).
7. ორსულობის პირველი და მეორე ნახევრის სისხლდენები.
8. მშობიარობის ფიზიოლოგია და ბიომექანიზმები.სამშობიარო მოქმედების აღძვრის ბიოქიმიური საფუძვლები, მშობიარობის ბიომექანიზმი, პარტოგრამა.
9. მშობიარობის მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები. ინტრანატალურად ნაყოფის მონიტორინგის ეფექტური მეთოდები.
10. ახალშობილის მოვლის ნაბიჯები
11. სამშობიარო ტკივილის მართვის მეთოდები
12. მშობიარობის შემდგომი სისხლდენა
13. ლოგინობის ხანის ფიზიოლოგია და მართვა.
14. გინეკოლოგიურ პაციენტთა კვლევის მეთოდები.
15. სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებები.
16. საშვილოსნოს მიომა.
17. სასქესო ორგანოების ფონური და კიბოსწინარე დაავადებები.
18. საშვილოსნოს ყელის კიბო
19. საშვილოსნოს ყელის; ლეიკოპლაკია, ერითროპლაკია, პაპილომა.
20. ვულვის ლეიკოპლაკია, ვულვის კრაუროზი.

საგამოცდო კითხვების ნიმუშები:

1. ///ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, როგორი ფორმა აქვს ნამშობიარევი ქალის საშვილოსნოს ყელს:

///კონიკური

//ცილინდრული

///რკალისებური

///სარტყლისებური

.///ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, ლოგინობის ხანაში რითია განპირობებული საშვილოსნოს ზომის და წონის დაქვეითება?

///მიოციტების რაოდენობის ზრდით

///მიოციტების რაოდენობის კლებით

//მიოციტების ზომის შემცირებით

///მიოციტების ზომის გაზრდით

///ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, როდის მთავრდება ლოგინობის ხანაში საშვილოსნოს ღრუში პლაცენტისგან თავისუფალი ზედაპირის ეპითელიზაცია:

/// მეორე კვირის შემდეგ

// მესამე კვირის ბოლოს

/// ოთხი კვირის შემდეგ

/// ექვსი კვირის შემდეგ

.///ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი კონტრაცეფციული საშუალების გამოყენება შეიძლება მშობიარობისთანავე:

///ზარიერული მეთოდები

//სტერილიზაცია

///კალენდარული მეთოდი

///კომბინირებული ორალური კონტრაცეფცია

/// ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია უნივერსალური არაინვაზიური მეთოდი სხვადასხვა ლოკალიზაციის მიომების სადიაგნოსტიკოდ:

///მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია

//ულტრასონოგრაფია

///კომპიუტერული ტომოგრაფია

/// საშვილოსნოს ღრუს კიურეტაჟი.